



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/350

21 / ნოემბერი / 2018 წ.



KA000021275282018

ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N560314 და N560315) შედეგების გაუქმების შესახებ

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებების (7 ერთეული) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2018 წლის 05 ნოემბრის, N04/255 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებების (7 ერთეული) პრივატიზებასთან დაკავშირებით, მათ შორის საპრივატიზაციოდ გატანილი იყო სატრანსპორტო საშუალებები ZONDA BUS, YCK 6601F (სარეგისტრაციო ნომერი XB 881 BX, გამოშვების წელი - 2005) და ZONDA BUS, YCK 6601F (სარეგისტრაციო ნომერი XB 883 BX, გამოშვების წელი - 2005).

ელექტრონული აუქციონი ჩატარდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge). N560314 ლოტზე მის მიერ შემოთავაზებული თანხის 1095.50 (ერთი ათას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის, ხოლო N560315 ლოტზე მის მიერ შემოთავაზებული თანხის 860.75 (რვაასსამოცი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარის საფუძველზე გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა გოგიტა მარანელმა (პირადი N59001113986) მისამართი: ქალაქი გორი, სოფელი ქვემო ახალსოფელი, რომელზეც 2018 წლის 20 ნოემბერს გაიცა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N14 და N15.

ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა ან/და აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შექმნილი ქონების სრული ღირებულება.

ფიზიკური პირი გოგიტა მარანელი 2018 წლის 20 ნოემბრის განცხადებით უარს აცხადებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტთან ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

ამდენად, უნდა გაუქმდეს ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N560314 და N560315) შედეგები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. გაუქმდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge) ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N560314 და N560315) შედეგები.

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნდეს სატრანსპორტო საშუალებები ZONDA BUS, YCK 6601F (სარეგისტრაციო ნომერი XB 881 BX, გამოშვების წელი - 2005) და ZONDA BUS, YCK 6601F (სარეგისტრაციო ნომერი XB 883 BX, გამოშვების წელი - 2005), ფიზიკური პირი გოგიტა მარანელმა არ გაიყვანა საკუთრების უფლების მოწმობა და მის მიერ გადახდილი „ბე“ 156.50 (ასამოცდაათექვსმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი და 165.50 (ასამოცდაათხუთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი სრულად ჩაირიცხოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე (www.poti.gov.ge) გამოაქვეყნოს წინამდებარე ბრძანების პირველ და

მეორე მუხლში აღნიშნული ინფორმაცია.

მუხლი 4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ტურიზმისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსს ლევან ჩოჩიას.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემტრონულად



გონა კურდღელია